# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გავრცელებისა.

I. დაარსებულ იქნეს საქართველოს ყოველ სოფლის საზოგადოებაში ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის განყოფილება.

2. დაევალოს სოფლის საზოგადოებას უსასყიდლოდ დაამზადოს ადგილობრივად საჭირო ბოძები და ბიჯგები მიიტანოს ადგილზე და დათხაროს ორმოები; აგრეთვე უსასყიდლოდ დაუთმოს ფოსტა-ტელეგრაფს საჭიროებისათვის ოთხ თვალიანი სახლი-გათბობა-განათებით და დარაჯით, სამი წლის ვადით; ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ბინის მოსაწყობად და ავეჯეულობის შესაძენად გადაიხადოს ორი ათას ხუთასი /2500/ მანეთი ერთდროულად, ხოლო ტელეფონის სარგებლობისათვის ხუთასი /500/ მანეთი ყოველ წლიურად.

3. დაევალოს სასოფლო მილიციას ფოსტის გადატან-გადმოტანა.

4. გადადებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ამ საქმის მოსაწყობად სამი წლის ვადით ერთი მილიონი შვიდას ოთხმოცდა ექვსი ათასი ორას ორმოცი /I786240/ მანეთი.

5. ამ კრედიტის საზღვრებში მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება შეიძინოს შესაფერი მასალა ცხრაას ოცდათოთხმეტი ათას ორმოცი /934040/ მან. ლირებული ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის საწყობიდან, თანახმად წარმოდგენილი ნუსხისა.

6. გადადებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ას ორმოცდა ათი ათასი /I50000/ მან.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამ კანონით ახლად დაწესებულ საფოსტო განყოფილებათა შტატის შესანახად 1918 წლის დამლევამდე.

1918 წ. ოქტომბრის 29-ს.

საქართველოს პარლამენტის

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

საქართველოს რესპუბლიკის

მთავრობის თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

საქართველოს
ეროვნული
არქივი